განკარგულება:**g-95. 95250311**

თარიღი:**31/01/2025**

**ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ - ,,სოფლის ექიმის'' კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად შეიქმნა ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“. აღნიშნული ჰოლდინგი მოითხოვს მის ბალანსზე ქედის მუნიციპალიტეტში 6 (ექვსი), კერძოდ: დოლოგნის, მახუნცეთის, მერისის, ოქტომბრის, ცხმორისის და დანდალოს ამბულატორიების გადაცემას, რომელიც დადებითად იმოქმედებს ,,სოფლის ექიმის“ პროგრამის განხორციელებაზე. საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი ერთიანი მიდგომით დაიწყებს მუშაობას ამბულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობისათვის, რითაც ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისათვის გაუმჯობესდება პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხი და შენობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა.

ზემოთაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ზემოთ დასახელებული უძრავი ქონება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე) ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს (ს/ნ:4021517330) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო

უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება კერძოდ:

ა)მერისის ადმინისტრაციულ ერთეულში სამედიცინო ამბულატორიისთვის განკუთვნილი, შემდეგი საკადასტრო კოდით: 21.05.33.001.01.502 რეგისტრირებულ 97,20 კვ. მეტრი შენობის საერთო ფართი;

ბ)ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში სამედიცინო ამბულატორიისთვის განკუთვნილი, შემდეგი საკადასტრო კოდით: 21.04.31.004.01.501 რეგისტრირებულ 59,20 კვ. მეტრი შენობის საერთო ფართი;

გ)დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულში სამედიცინო ამბულატორიისთვის განკუთვნილი, შემდეგი საკადასტრო კოდით: 21.09.34.001.01.502 რეგისტრირებულ 110,50 კვ. მეტრი შენობის საერთო ფართი;

დ)ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სამედიცინო ამბულატორიისთვის განკუთვნილი, შემდეგი საკადასტრო კოდით: 21.08.34.002.01.501 რეგისტრირებულ 117,0 კვ. მეტრი შენობის საერთო ფართი;

ე)მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სამედიცინო ამბულატორიისთვის განკუთვნილი, შემდეგი საკადასტრო კოდით: 21.01.37.002.01.500 რეგისტრირებულ 157,80 კვ. მეტრი შენობის საერთო ფართი;

ვ)დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში, შემდეგი საკადასტრო კოდით: 21.01.31.004.01.500 რეგისტრირებულ 46,20 კვ. მეტრი შენობის საერთო ფართი.

2.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე).

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი